ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №369-2014

ქ. თბილისი 21 ნოემბერი, 2014 წელი

ერთი მხრივ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (მისამართი: ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ.№77) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ქ. ქოქრაშვილის სახით (**„შემსყიდველი"**), და მეორე მხრივ – შპს „ავტობანი 2000" (იურიდიული მისამართი: ანაგის ქ.№4) მისი დირექტორის დ.თევდორაძის სახით (**„მიმწოდებელი"**), ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს: სტუ-ს კუთვნილი ა.მანქანებისათვის (CPV24951311 – ანტიფრიზები)-ს შესყიდვა, კერძოდ:

1. ALGOREX – საქარე მინის ანტიფრიზი – 20ცალიX10.00ლარი = 200.00 ლარი
2. ALGOREX - KUHLERFROSTSCHUTZ – ლურჯი ანტიფრიზი (1.5)
   – 6ცალიX15.00ლარი = 90.00 ლარი

1.2. შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების ფასი შეადგენს: 290.00 (ორას ოთხმოცდაათი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ფასი საბოლოოა და ითვალისწინებს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს რატი ჩიქვინიძე (მთავარი სპეციალისტი), ხოლო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მიმწოდებელსა და შემსყიდველის მხრიდან: ვახტანგ მამალაძეს (სტუ-ს ავტოფარეხის უფროსი) შორის.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.3. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მოწოდებული საქონლის ხარისხზე.

4. საქონლის მოწოდების ვადა და ადგილი

4.1. საქონლის მოწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.2. მისამართი: ქ. თბილისი

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მოწოდების შემდეგ, მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში. ამასთან, მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

7.2 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. დავების გადაწყვეტა

9.1. მხარეთა შორის სადაო საკითხი წყდება მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
11.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მის: კოსტავას ქ. №77 თიბისი ბანკი ა.ა.GE47TB0600000003408001 ს.კ. 211349192 ბანკის კოდი 220101830	შპს „ავტობანი 2000" ანაგის ქ.4 ტელ 238 50 13 ს.ს. „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 ა.ა GE95TB3746636020100005 ს.კ.205211091
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ქ. ქოქრაშვილი	დირექტორი დ.თევდორაძე
----------	----------